

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

მაუწყებლების ახალი ამბების წინასაარჩევნო
მედია მონიტორინგი

ანგარიში

(11 ივლისი- 30 აგვისტო)



თბილისი, 2016

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ ატარებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2016 წლის 20 მაისიდან 2016 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით და მოიცავს 11 ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გამოშვებებს.

მონიტორინგი ხორციელდება შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, GDS, ტაბულა, კავკასია, ტვ პირველი, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია, ტელეარხი 25.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია მედიამონიტორინგის შედეგები 11 ივლისიდან 30 აგვისტოს ჩათვლით.

მასალის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი

ძირითადი მიგნებები:

- სამონიტორინგო არხების უმრავლესობა, საკუთარი ეთერის ყველაზე მეტ ნაწილს კვლავ საქართველოს მთავრობის საქმიანობის გაშუქებას უთმობს. შეგახსენებთ, რომ მონიტორინგის პირველ პერიოდშიც ყველაზე მეტი დრო ტელევიზიებმა მთავრობას დაუთმეს.
- 11 არხის მონაცემების მიხედვით, მთავრობის მიმართ პოზიტიური გაშუქებით „კავკასია“ ლიდერობს. მის ეთერში მთავრობისთვის დათმობილი დროის 18% პოზიტიურად გაშუქებას დაეთმო. ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქება მთავრობას „რუსთავი 2-ზე“ აქვს - დათმობილი დროის 72%. ყველაზე მეტი ნეიტრალური გაშუქება კი ტელეკომპანია „GDS-ზე“ - 83%.
- პრეზიდენტი პოზიტიურ ტონში ყველაზე ხშირად ტ/კ „კავკასია“ ეთერში დაფიქსირდა - დათმობილი დროის 14%; უარყოფითად - „ობიექტივზე“ (37%), ნეიტრალურად ყველაზე ხშირად პრეზიდენტი „ტაბულაზე“ გაშუქდა - მისთვის დათმობილი დროის 95%.
- პარტია „ქართული ოცნება“ ყველაზე დადებითად „იმედის“ ეთერში ჩანდა, მისთვის დათმობილი დროის 54% პოზიტიური იყო, ნეგატიურად „ქართული ოცნება“ ყველაზე დიდი დოზით „რუსთავი-2-ზე“ გაშუქდა (52%), ნეიტრალურად კი - „მაესტროზე“ (86%).
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დადებითი ტონით ყველაზე მეტად „კავკასიაზე“ წარმოჩინდა, მისთვის დათმობილი დროის 11%-ი პოზიტიური გაშუქება იყო. „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაზე უარყოფითად GDS-მა გააშუქა (51%), ნეიტრალურად კი „ტვ 25-მა“ 87%-ით.
- ბიძინა ივანიშვილი ყველაზე პოზიტიურად ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში წარმოჩინდა, მისთვის დათმობილი დროის 42%. უარყოფითად კი, „ობიექტივსა“ და „ტაბულაზე“ 100-100%-ით. ყველაზე მეტი ნეიტრალური გაშუქება ივანიშვილს „ტვ 25-ზე“ ჰქონდა - დათმობილი დროის 53%.

- დროის განაწილების და თვისებრივი დაკვირვების შედეგების ანალიზისას რჩება შთაბეჭდილება კონკრეტული არხების, კონკრეტული სუბიექტების მიმართ არსებული სიმპატიების შესახებ. მაგალითად, „ობიექტივი“ აშკარად გამორჩეულად სწყალობს საარჩევნო ბლოკს - „პატრიოტთა ალიანსი“, „რუსთავი 2-ზე“ შესამჩნევია „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ სიმპატიები, „იმედი“ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს „ქართულ ოცნებას“.
- შინაარსობრივი ანალიზისას გამოვლინდა, რომ არხები მეტწილად ეთიკური სტანდარტების შესაბამისად აშუქებენ სუბიექტებს, თუმცა ყველა არხზე დაფიქსირდა ბალანსის დარღვევის შემთხვევები. შეგახსენებთ, რომ მონიტორინგის პირველ პერიოდშიც ტელევიზიებში მთავარი პრობლემა მხარეთა შორის ბალანსის დაუცველობა იყო.
- არხები ახალ ამბებს ხშირ შემთხვევაში, ე.წ. კადრსინქრონებით აშუქებენ. ასეთ მასალებში, ზოგიერთ შემთხვევაში, ინფორმაცია მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობითაა გადმოცემული. ამის შესახებ წინა ანგარიშშიც აღვნიშნეთ, თუმცა სურათი არ შეცვლილა. შთაბეჭდილება რჩება, რომ მედიასაშუალებები კადრსინქრონს არ აღიქვამენ სრულფასოვან მედიაპროდუქტად, არ ამზადებენ იმ სტანდარტით, რა სტანდარტითაც სიუჟეტს ან რეპორტაჟს და სისტემატიურად არღვევენ ბალანსს. არადა, ის ჩვეულებრივი მედიაპროდუქტია, სტანდარტიც შესაბამისად ვრცელდება და მაყურებლისთვის, საზოგადოებისთვის არ აქვს მნიშვნელობა, დაუბალანსებელ ინფორმაციას კადრსინქრონის სახით მიიღებს თუ სიუჟეტის.
- რამდენიმე არხზე ეთერში გავიდა ვრცელი სიუჟეტები პირობითი სახელწოდებით „საარჩევნო სუბიექტების აქტივობები“. ამ სიუჟეტებში რამდენიმე სახის პრობლემა დაფიქსირდა: 1. სიუჟეტები თანამედროვე სტანდარტით ძალიან გრძელი (5-9 წთ) და აქედან გამომდინარე მოსაწყენია. 2. ასეთ სიუჟეტებში სუბიექტების აქტივობები მექანიკურად, ყოველგვარი საერთო ხაზის გარეშე გაერთიანებული და ხშირად ქაოტურ სახეს იძენს, რაც მაყურებლისთვის უინტერესოს ხდის საარჩევნო აქტივობების თვალის დევნებას, ამომრჩეველი ვერ იღებს საჭირო ინფორმაციას, ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება. 3. სიუჟეტებში სუბიექტების ბრიფინგებიც ხდება, სადაც, ზოგ შემთხვევაში, ბრალდებები ჟღერდება კონკურენტის მიმართ, რამდენიმე სიუჟეტი შეგვხვდა სადაც ბრალდებებზე პასუხი არ იყო მოცემული. 4. ასეთ სიუჟეტებში სუბიექტებს, თითქმის მათემატიკური სიზუსტით თანაბარი დრო აქვთ დათმობილი, რაც ფორმალური ბალანსის შთაბეჭდილებას ტოვებს. ნიშანდობლივია, რომ ასეთი ფორმატის სიუჟეტები ბოლო წლებში გამართული ყველა არჩევნების დროს გვხვდება და ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ დროის მათემატიკური განაწილება, გარე დამკვირვებლებისთვის ფორმალური ბალანსის საჩვენებლად ხდება. არადა მიმდინარე მონიტორინგის მიზანი, ნამდვილად არ არის ხელოვნურად, მექანიკურად „დაბალანსებული“ და „მიუკერძოებელი“ მედია პროდუქტების შექმნის წახალისება.
- წინა ანგარიშისგან განსხვავებით ამ საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში სიძულვილის ენა ან შეუსაბამო ტერმინოლოგია არ გამოუყენებიათ.


შედეგები არხების მიხედვით

ქვემოთ მოცემულია რაოდენობრივი ანალიზის გრაფიკული მონაცემები, ნაჩვენებია 11 სუბიექტი 11 არხზე მათთვის დათმობილი დროის და გაშუქების ტონის მიხედვით. 11 სუბიექტი შერჩეულია გაშუქების სიხშირის და ცნობადობის კრიტერიუმების ერთობლივობით. თვალსაჩინოებისთვის, 11 სუბიექტი ერთი და იგივე ყველა არხის შემთხვევაში, გამონაკლისია „აჭარის ტელევიზიის“ და „ტვ 25-ს“ მონაცემები. ამ უკანასკნელთა ცხრილებში დამატებულია აჭარის მთავრობა, ვინაიდან ორივე არხი უმეტესად ავტონომიის ამბებს აშუქებს და მათი მაცურებლებიც ძირითადად, აჭარის ავტონომიის მცხოვრებლები არიან.

„1 არხი“

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები დააკვირდნენ I არხის მთავარ ყოველდღიურ საინფორმაციო გამოშვებას „მომხმე 20 საათზე“ და „კვირის მოამბეს“.

რაოდენობრივი ანალიზი



საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო გამოშვება „მომხმეში“ ყველაზე დიდი დრო მთავრობის გაშუქებას დაეთმო, არხზე ყველაზე დადებითად პრემიერ-მინისტრი

გამუქდა, მისთვის დათმობილი დროის 17% დადებით ტონში იყო. ყველაზე უარყოფითად - ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი მისთვის დათმობილი დროის 91% უარყოფით ტონში იყო. ყველაზე მეტი ნეიტრალური ტონი საარჩევნო ბლოკს, „პატრიოტთა ალიანსს“ ჰქონდა, რომელიც მისთვის დათმობილი დროის 100% -ით ნეიტრალურ ტონში გამუქდა.

პირველმა არხმა 15 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებაში 24 წუთი დაუთმო „ქართული ოცნების“ თბილისის მაჟორიტარების წარდგენას. ამხელა დრო პირდაპირ ეთერში სამონიტორინგო პერიოდში არც ერთ სხვა სუბიექტს არ დათმობია. 13 აგვისტოს შვიდი საარჩევნო სუბიექტის აქტივობები ერთ სიუჟეტში აისახა, იმავე დღეს კი „ქართული ოცნების“ კანდიდატების აჭარაში წარდგენას მიეძღვნა ცალკე კადრსინქრონი.

პირველ არხზე ტრადიციად იქცა საარჩევნო სუბიექტების აქტივობების ერთ სიუჟეტად გაერთიანება, 5 წუთზე მეტი ხანგრძლივობის მასალაში მექანიკურად შეკრებილია დღის აქტივობები. ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთ სიუჟეტებში ერთი სუბიექტი მეორეს აკრიტიკებს, თუმცა, ამის საპასუხო კომენტარი ნაჩვენები არ არის და სიუჟეტი მხოლოდ სხვადასხვა სუბიექტების სხვადასხვა აქტივობების ნაკრებია. ასეთი სიუჟეტები მოკლებულია შინაარსს, ხშირად არ აქვს საერთო ხაზი, არ არის დაბალანსებული და საყურებლადაც უინტერესოა. ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ემსახურება ფორმალურად, დროის ბალანსის მიღწევას. სამონიტორინგო პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როცა საზოგადოებისთვის აქტუალურ, მაგრამ არასაარჩევნო თემაზე მომზადებულ სიუჟეტში იყო მხოლოდ 1 საარჩევნო სუბიექტის კომენტარი.

მაგალითად, 15 აგვისტოს სამტრედიელი ახალგაზრდის თვითმკვლელობამდე მიყვანასთან დაკავშირებით მომზადებულ სიუჟეტში, მხოლოდ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წევრის კომენტარი იყო. 24 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვების ერთ-ერთ სიუჟეტში, რომელიც გამოცდების ეროვნულ ცენტრთან დაკავშირებით იყო მომზადებული - მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის. მნიშვნელოვანია, არხს ჰქონდეს მაქსიმალურად თანაბარი მიდგომა ძირითად საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებაში და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან არასაარჩევნო თემებზე, შეძლებისდაგვარად, თანაბარ საშუალებას აძლევდეს მათ.

ერთ-ერთ პრობლემად გამოიკვეთა ზოგიერთ შემთხვევაში მხარეთა შორის ბალანსის დარღვევა, რომლის კონკრეტული მაგალითებიც ქვემოთაა მოყვანილი.

11 ივლისის „მომბეში“ გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით [„პარტიების წინასაარჩევნო აქტივობები“](#) სიუჟეტში „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი წევრი სუს-ს (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს) პარტიის აქტივისტებზე ზეწოლაში ადანაშაულებდა. არანაირი მტკიცებულება ანდა მეორე მხარის პასუხი ბრალდებებზე სიუჟეტში არ არის. გარდა ამისა, მასალაში ხელისუფლების მიმართ ისმოდა ბრალდებები გიორგი ვაშაძის პარტიის - „ახალი საქართველო“ და „ლეიბორისტული პარტიის“ წევრების მხრიდანაც, გიორგი ვაშაძე ზეწოლის კონკრეტულ შემთხვევას ასახელებდა, ლეიბორისტების წარმომადგენელი კი ხელისუფლებას

კონკრეტულ კომპანიასთან კორუფციულ გარიგებაში სდებდა ბრალს. თუმცა, ბრალდებებზე სიუჟეტში ხელისუფლების წარმომადგენლების პასუხი არ არის, არც მოპოვების მცდელობა ჩანს.

20 ივლისის „მომხმეში“ [ინტერპარტიული ჯგუფის პრეტენზიები](#) უფასო სარეკლამო დროის განაწილებასთან დაკავშირებით, დაუბალანსებლადაა გაშუქებული. ხელისუფლება - პარლამენტი დადანაშაულებულია უკანონობის ჩადენაში და საარჩევნო გარემოს გაუარესებაში, თუმცა ბრალდებებზე საპასუხო კომენტარი არ არის, დარღვეულია ბალანსი.

9 აგვისტო -სიუჟეტში ორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაციონალურ მოძრაობას“ და მიხეილ სააკაშვილს წინასაარჩევნო აგიტაციისას კანონის დარღვევაში ადანაშაულებს, საუბარია პარტიის კანდიდატების წარდგენისას მიხეილ სააკაშვილის ვიდეომიმართვის ჩვენებაზე. სიუჟეტში არ არის ასახული „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიცია, საპასუხო არგუმენტები. არც კომენტარის მოპოვების მცდელობა ჩანს. დარღვეულია ბალანსი.

აღსანიშნავია, რომ **23 აგვისტოს „მომხმეს“** „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, ნინო ბურჯანაძე სტუმრობდა. მისი საკონსტიტუციო ინიციატივა ქვეყნის უბლოკო სტატუსის შესახებ პარლამენტში კომიტეტის სხდომის ჩაშლის გამო ვერ დარეგისტრირდა. სწორედ ამ თემით დაიწყო ნინო ბურჯანაძესთან საუბარი წამყვანმა.

20 წუთიანი ინტერვიუს განმავლობაში ბურჯანაძემ ისე ისაუბრა „უბლოკო სტატუსის“ შესახებ, ჟურნალისტს არ უკითხავს რატომ არის ეს „ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა“, საერთოდ რას ნიშნავს ამგვარი სტატუსი, არსებობს თუ არა მსოფლიოში რაიმე ანალოგიური მაგალითი. წამყვანი იყო მოუმზადებელი და მისცა სტუმარს საშუალება გაეგრძელებინა არასწორი ინფორმაცია, რომელიც რუსული პროპაგანდის ნაწილია. მაგალითად, ბურჯანაძემ თქვა:

„ნატოში არავინ არ მიგიღებს აფხაზეთითა და ოსეთით, სადაც რუსული ჯარები დგას, ესე იგი უნდა თქვა უარი ამ ტერიტორიებზე“

„ევროკავშირის სერიოზული საფრთხეები ემუქრება ერთიანობის თვალსაზრისით“

წამყვანი არ შეწინააღმდეგებია კონტრარგუმენტებით, არ ჩამიება და არ მოუთხოვია დასაბუთება არც მაშინ, როდესაც ბურჯანაძე საზოგადოებრივი აზრის კვლევებზე საუბრობდა და მათ „ამერიკის პრესსამსახურების კარნახით“ დაწერილი, „შეკვეთილი, მოსყიდული“ უწოდა, მან აშშ-ს ნეგატიურ კონტექსტში კიდევ არაერთხელ მოიხსენია.

წამყვანი არ შეპასუხებია ბურჯანაძეს 2008 წლის ომთან დაკავშირებითაც, როდესაც თქვა, რომ „მათმა პრეზიდენტმა [იგულისხმება სააკაშვილი] შემოიყვანა საქართველოში რუსის ჯარი“.


„რუსთავი 2“

სამონიტორინგო პერიოდში რუსთავი 2-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რუსთავი 2

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



საინფორმაციო გამოშვებას „კურიერი“ (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 21 საათზე), „შაბათის კურიერი“ (შაბათს 21 საათზე) და გადაცემას „P.S.“ (ყოველ კვირას - 21 საათზე).

რაოდენობრივი ანალიზი

„რუსთავი 2 -ის“ საინფორმაციო გამოშვებებშიც დროის უმეტესი ნაწილი, მთავრობის გაშუქებას დაეთმო. ყველაზე დადებითად „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოჩინდა, მისთვის დათმობილი დროის 8%-ში, ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი (82%) ბიძინა ივანიშვილთან მიმართებაში დაფიქსირდა, ყველაზე მეტი ნეიტრალურ ტონში გაშუქება (95%) ბლოკს - „ბურჭულაძე სახელმწიფო ხალხისთვის“ ჰქონდა. პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე მეტი დრო და დადებითი ტონი „რუსთავი 2-ზე“ „ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო.

ეს ტენდენცია შინაარსობრივ ნაწილშიც აისახა, მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა აქტუალურ თემებზე მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების კომენტარია მოცემული და პრობლემის შესახებ ნიუსებიც მათზე დაყრდნობით შუქდება. მაგალითად, 28 ივლისს გავიდა სიუჟეტი დევნილთა ყოფილი მინისტრის განცხადებების შესახებ, სიუჟეტში მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების შეფასებები იყო. „ნაციონალური მოძრაობა“ „რუსთავი 2-ს“ საინფორმაციო გამოშვების ერთ -ერთი მთავარი წყაროა, რაც წინასაარჩევნო პერიოდში არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სხვა პარტიებს, ძირითად სუბიექტებს შორის მაინც უნდა ნაწილდებოდეს დრო სამართლიანად..

„რუსთავი 2-ზე“ გამოიკვეთა ბალანსის დარღვევის შემთხვევებიც. ძირითადად, ბალანსი ხელისუფლების მიმართ ირღვეოდა და ადრესატებს არ ეძლეოდათ შესაბამისი პასუხის საშუალება:

14 ივლისის სიუჟეტში ნინო ბურჯანაძემ კრიტიკული განცხადებები გააკეთა თავდაცვის მინისტრის, თინა ხიდაშელის მიმართ და მის საქმიანობას მავნებლური უწოდა. სიუჟეტში არ არის მეორე მხარის პოზიცია, არც ჟურნალისტის მიერ იმ ფაქტების მიმოხილვაა, რის გამოც აკრიტიკებს პოლიტიკოსი მინისტრს, ინფორმაცია მშრალად და ცალხმრივადაა გადმოცემული. არ ჩანს საპასუხო კომენტარის მოპოვების მცდელობა.

19 ივლისის სიუჟეტში ინტერპარტიული ჯგუფის წევრები აკრიტიკებენ ხელისუფლებას და ქართულ ოცნებას, პოლიტიკური სარეკლამო დროის განაწილებასთან დაკავშირებით გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო. ჯამში 4 რესპოდენცია წარმოდგენილი, ყველა მათგანი აკრიტიკებს ამ გადაწყვეტილებას და „ქართულ ოცნებას“ არჩევნების წინასწარ გაყალბებაში სდებენ ბრალს, არ არის საპასუხო კომენტარი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლისგან, ანდა პარტია „ქართული ოცნებიდან“. ამბავი ცალხმრივად და დაუბალანსებლადაა გადმოცემული.

28 ივლისის „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს-ი) ზეწოლასა და რეპრესიების გატარებაში დაადანაშაულა. ეთერში გავიდა მხოლოდ შალვა ნათელაშვილის ბრალდება, არ იყო დასახელებული კონკრეტული ფაქტები და არ ისმოდა სუს-ის პოზიცია, არც საპასუხო კომენტარის მოპოვების მცდელობა ჩანდა. მასალა იყო ცალმხრივი და დაუბალანსებელი.

„იმედი“

სამონიტორინგო პერიოდში ტელეიმედის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „ქრონიკა“ (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 20 საათზე), „ქრონიკის სტუდია“ (შაბათს 20 საათზე) და „იმედის დრო“ (ყოველ კვირას-20 საათზე)


რაოდენობრივი ანალიზი

ტელეიმედზეც, ყველაზე მეტი დრო მთავრობის გაშუქებას დაეთმო, ყველაზე დადებითად პარტია „ქართული ოცნება“ წარმოჩინდა (54%), ყველაზე უარყოფითად საარჩევნო სუბიექტებს შორის ბლოკი „ბურჟუაზი-სახელმწიფო ხალხისთვის“ გაშუქდა (35-%, ნეიტრალური გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბლოკს - „პატრიოტთა ალიანსს“ ჰქონდა (94%).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

იმედი

(11 ივლისი- 30 აგვისტო, 2016)



რაოდენობრივ მაჩვენებელში „ქართული ოცნების“ ყველაზე დადებითი გაშუქება შინაარსობრივ ნაწილშიც აისახა, იმედი ვრცლად და თანაც, პირდაპირ ეთერში აშუქებდა პრემიერ-მინისტრის მიერ ოცნების კანდიდატების წარდგენას, მაგალითად 13, 15 და 21 აგვისტოს ჯამში 40 წუთიანი პირდაპირი ეთერი დაეთმო „ოცნების“ კანდიდატების დასახელებას, მსგავსი ფუფუნება იმედზე სხვა არც ერთ სუბიექტს არ ჰქონია. იმედზე ეთიკური კუთხით მთავარ პრობლემად ბალანსის დაღვევა გამოიკვეთა. ზოგიერთ შემთხვევაში, ინფორმაცია მაყურებელამდე ცალმხრივად მივიდა. მაგალითად:

11 ივლისს გავიდა სიუჟეტი, რომელიც ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო განხილვას ეხებოდა. სასამართლოს ჩვენება მისცა საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილმა ხელმძღვანელმა ლევან ყუბანეიშვილმა, ჩვენების მიხედვით, მან წლების წინ თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის დავალებით „იმედიდან“ გადაცემა „დროების“ ჟურნალისტების ნაწილის გადმოიბირა. სიუჟეტის მიხედვით, „იმედთან“ დაკავშირებით ბრალი ჰქონდა წარდგენილი კეზერაშვილს და თბილისის ყოფილ მერს გიგი უგულავას, სიუჟეტში ჟურნალისტების გადმოიბირებაში მონაწილე დასახელებული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გივი თარგამაძე, თუმცა აღნიშნული პირების, ან მათი ადვოკატების პოზიცია სიუჟეტში ასახული არ ყოფილა. სიუჟეტი იყო დაუბალანსებელი და ინფორმაციის მთავარ წყარო მხოლოდ პროკურატურის მიერ მიწოდებული მასალები იყო.

[21 აგვისტოს](#) თბილისის მერიის წინ აქცია გაიმართა, სადაც ყაზბეგის გამზირზე ხეების მოჭრასთან დაკავშირებით, მოხდა მერიის ქმედებების კრიტიკა. იყო ჟურნალისტის ჩართვა და აქციის მონაწილეების ინტერვიუები, მათ შორის ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლისაც. რესპოდენტებმა მერიის თანამშრომლები კრიმინალსა და კორუფციაში დაადანაშაულეს. არ იყო მერიის წარმომადგენლების საპასუხო კომენტარი. ინფორმაცია იყო დაუბალანსებელი.

[12 აგვისტოს](#) „ქრონიკაში“ გაშუქდა არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ მიერ გავრცელებული განცხადება. ორგანიზაცია პარტია „ცენტრისტებისთვის“ ცესკოში რეგისტრაციის გაუქმებას ითხოვდა, გავრცელებულ განცხადებაში ცენტრისტები ამომრჩეველთა მოსყიდვაში და კანონდარღვევაში დაადანაშაულეს. არ იყო „ცენტრისტების“ წარმომადგენლის კომენტარი, არც მოპოვების მცდელობა ჩანდა, დარღვეული იყო ბალანსი.

„მაესტრო“

სამონიტორინგო პერიოდში მაესტროს ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „კონტაქტი რვაზე“ (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 20 საათზე).


რაოდენობრივი ანალიზი

მაესტროს ეთერშიც, საინფორმაციო გამოშვების უმეტესი ნაწილი მთავრობას დაეთმო. ყველაზე დადებითად ბიძინა ივანიშვილი წარმოჩინდა - დათმობილი დროის 42% პოზიტიური იყო. ყველაზე უარყოფითად კი - 37%-ით ადგილობრივი ხელისუფლება. ყველაზე მეტი ნეიტრალური ტონი, დათმობილი დროის 100% ბლოკს, „პატრიოტთა ალიანსს“ ჰქონდა. „მაესტრო“, პირველი არხის და „იმედის“ მსგავსად, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კანდიდატების წარდგენისადმი განსაკუთრებული ყურადღებით გამოირჩეოდა. მაგალითად, 13 და 15 აგვისტოს მაესტროს საინფორმაციო „ოცნების“ კანდიდატებს ჯამში 47 წუთი დაეთმო, 16 აგვისტოს 10 წუთზე მეტი, მაშინ როცა სხვა კანდიდატებს ხშირად 1 წუთზე ნაკლები დრო ეთმობოდა. სამონიტორინგო პერიოდში დაფიქსირდა ბალანსის დარღვევის შემთხვევებიც. მაგალითად:

13 ივლისის გავიდა სიუჟეტი რომელიც ტელეკომპანია იმედთან დაკავშირებულ სასამართლო განხილვებს მიეძღვნა. სიუჟეტში ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი 2007 წელს იმედის დარბევის ბრძანების გაცემაში დაადანაშაულეს. სიუჟეტში აღინიშნა, რომ იმედის საქმეში ბრალი ჰქონდა წარდგენილი მიხეილ სააკაშვილს და გიგი უგულავას, სიუჟეტი იყო ცალმხრივი, ეყრდნობოდა ძირითადად პროკურატურის მასალებს, არ იყო არც ერთი ბრალდებულის ადვოკატის პოზიცია წარმოჩენილი, მაშინ როცა სიუჟეტი მომზადებული იყო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე დაყრდნობით, სადაც მონაწილეობდნენ ბრალდებულების ადვოკატები და მათი კომენტარების მოპოვება, წესით, პრობლემა არ უნდა

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%) მაესტრო

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



24 ივლისს პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ ერთ-ერთმა წევრმა მერაბ მეტრეველმა, ხელისუფლება საგზაო უსაფრთხოების კუთხით რეფორმების არ გატარებისთვის, გააკრიტიკა. მან აღნიშნა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო პოპულიზმს გადააყოლა ამ მნიშვნელოვანი სფეროს რეფორმირება. მიუხედავად მწვავე კრიტიკისა, ხელისუფლებას არ მიეცა საპასუხო კომენტარის გაკეთების საშუალება, რითაც დაირღვა ბალანსი და მაყურებელმა მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობილი ინფორმაცია მიიღო.

25 ივლისს სიუჟეტში „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი „ქართულ ოცნებას“, რეგიონებში მათ მხარდამჭერებზე მორალურ ზეწოლაში დებდა ბრალს. არ იყო საპასუხო კომენტარი და არც მისი მოპოვების მცდელობა ჩანდა.

„GDS“


სამონიტორინგო პერიოდში GDS-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 2030 (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 20:30 სთ-ზე).

რაოდენობრივი ანალიზი

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

GDS

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



GDS-ის ეთერშიც, ყველაზე დიდი დრო მთავრობას დაეთმო, ყველაზე მეტი დადებითი ტონი (7%) პარტია „ქართული ოცნების“ მიმართ დაფიქსირდა. უარყოფითი ტონით პარტიებს შორის „ნაციონალური მოძრაობა“ ლიდერობს მისთვის დათმობილი დროის 51%-თ. ყველაზე მეტი ნეიტრალური გაშუქება ბლოკს, „პატრიოტთა ალიანსს“ ჰქონდა - დათმობილი დროის 99%. ციფრებში ასახული მაღალი უარყოფითი ტონი „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, შინაარსობრივ ნაწილშიც აისახა, ამ პარტიის მიმართ ხშირად ხდება ბალანსის დარღვევა. დაფიქსირდა შემთხვევები, როცა GDS-ს ეთერში „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ გაჟღერდა ბრალდებები პარტიას კი პასუხის საშუალება არ მიეცა.

მაგალითად, [11 აგვისტოს](#) გავიდა სიუჟეტი სადაც უმრავლესობის ლიდერი „ნაციონალურ მოძრაობას“ ე.წ. საკონსტიტუციო გადატრიალების მცდელობაში ადანაშაულებდა, სიუჟეტში არ იყო „ნაციონალური მოძრაობის“ საპასუხო კომენტარი და არც კომენტარის მოპოვების მცდელობა ჩანდა, დარღვეული იყო ბალანსი.

[9 აგვისტოს](#) მომზადდა მასალა ექსპერტ მამუკა არეშიძის ბრიფინგის შესახებ, გადაცემის წამყვანის თქმით, მამუკა არეშიძემ განაცხადა, რომ არ გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაავრცელონ. წამყვანის ტექსტის მიხედვით, არეშიძე ამ ფაქტს ახლანდელი ხელისუფლების დისკრედიტაციის მცდელობად მიიჩნევს. ინფორმაცია იყო ცალმხრივი, მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით, ასევე, არ იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ან წინა ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლის საპასუხო კომენტარი. დარღვეული იყო ბალანსი.

[12 ივლისს](#) გასული სიუჟეტი ეხებოდა ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებულ სასამართლო განხილვებს, სიუჟეტში რესპოდენტების მიერ წინა ხელისუფლება და მაშინდელი მთავრობის კონკრეტული წევრები დადანაშაულებული იყვნენ მედიაზე (ტვ იმედზე) ზეწოლის განხორციელებაში, ახლანდელი ხელისუფლება კი ზეწოლის კონკრეტული ფაქტის გამოუძიებლობაში. სიუჟეტში არ იყო საპასუხო კომენტარი, არ იყო ინფორმაცია გადამოწმებული მასში მონაწილე ყველა მხარესთან. დარღვეული იყო ბალანსი.

„ტაბულა“

სამონიტორინგო პერიოდში „ტაბულას“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას ფოკუსი (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 19 საათზე).

რაოდენობრივი ანალიზი


„ტაბულას“ ეთერშიც, ყველაზე მეტი დრო მთავრობას დაეთმო, ყველაზე მეტი დადებითი ტონი „ნაციონალურ მოძრაობას“ მიმართ დაფიქსირდა - დათმობილი დროის 7%-ი. უარყოფითი გაშუქების მხრივ, ლიდერი ტაბულაზე ბიძინა ივანიშვილია - დათმობილი დროის 100%-ით. ნეიტრალურ ტონში ყველაზე ხშირად (95%) პრეზიდენტი გაშუქდა. „ტაბულას“ საინფორმაციო გამოშვებებში შეინიშნება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების კომენტარების სიმრავლე. „ნაციონალური მოძრაობა“, უმრავლეს შემთხვევაში, ხელისუფლებას აკრიტიკებს და ტაბულა ზოგჯერ ამ კრიტიკას ცალმხრივად, დაუბალანსებლად სთავაზობდა მაყურებელს. მაგალითად:

[20 ივლისს](#) გაშუქდა ნაციონალური მოძრაობის ბრიფინგი, სადაც ექსპორტის შემცირების და იმპორტის ზრდის გამო ხელისუფლება გააკრიტიკეს. პარტიის წარმომადგენელმა მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა გააკრიტიკა. აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ ერთ წყაროზე, „ნაციონალურ მოძრაობაზე“ დაყრდნობით იყო გადმოცემული, არ იყო მთავრობის კომენტარი და არც მისი მოპოვების მცდელობა ჩანდა. სიუჟეტში არ იყო მოყვანილი ინფორმაციის სხვა,

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

ტაბულა

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



[10 აგვისტოს](#) „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა წევრმა ხელისუფლება მათ მხარდამჭერებზე რეპრესიების განხორციელებაში დაადანაშაულა. დასახელებული იყო

ზეწოლის კონკრეტული ფაქტი, თუმცა, არ იყო ზეწოლაში დადანაშაულებული ჩინოვნიკის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის კომენტარი.

17 აგვისტოს სიუჟეტშიც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი, მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას აკრიტიკებს, ამბობს, რომ მთავრობის 4 პუნქტიანი ეკონომიკური გეგმა არ არსებობს და მთავრობის ეკონომიკური გუნდი სუსტი და არაკომპეტენტურია. ჟურნალისტის თქმით, მმართველ გუნდს არჩევნებამდე 51 დღით ადრე არც საარჩევნო პროგრამა აქვს გამოქვეყნებული.

სიუჟეტი ცალმხრივია და მასში არაა ასახული მთავრობის საპასუხო პოზიცია, ეყრდნობა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციას და არ ჩანს ჟურნალისტის მხრიდან ამ ინფორმაციის გადამოწმების მცდელობა.

„კავკასია“


სამონიტორინგო პერიოდში კავკასიის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ, მთავარ საინფორმაციო გამოშვებას “დღე” (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 20:30 წთ-ზე).

რაოდენობრივი ანალიზი

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

კავკასია

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



„კავკასიის“ ეთერში ყველაზე მეტი დრო მთავრობას დაეთმო. ყველაზე დადებითად პრემიერ-მინისტრი გაშუქდა, დათმობილი დროის 27%. ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი ადგილობრივ ხელისუფლებას დაუფიქსირდა - 34%. ნეიტრალური გაშუქებით

„კავკასიაზე“ ბლოკი „პატრიოტთა ალიანსი“ ლიდერობს, დათმობილი დროის 100%-თ. „კავკასიის“ საინფორმაციო გამოშვებები სიუჟეტების სიმწირით გამოირჩევა, ამბების გაშუქება ძირითადად კადრსინქრონებით ხდება. პრობლემად რჩება რესპოდენტებზე ტიტრების არ მიწერა, ზოგ შემთხვევაში შეუძლებელია რესპოდენტების ვინაობის დადგენა. მთავარ ეთიკურ პრობლემად „კავკასიაზეც“ ბალანსის დარღვევა გამოიკვეთა, კადრსინქრონებში გაჟღერებული ბრალდებები ზოგჯერ ცალხმრივი და უპასუხოა. მაგალითად:

11 ივლისს პრეზიდენტის მრჩეველი სპეციალურ ბრიფინგზე, საპარლამენტო უმრავლესობას აკრიტიკებს მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში ორი მოსმენით მიღებული კანონის, მესამე მოსმენით არ მიღების გამო. მრჩეველი ამბობს, რომ რეფორმის ხელოვნურად გაჭიანურების ექვი ჩნდება. ეს ინფორმაცია გადმოცემული იყო ცალხმრივად, არ იყო საპარლამენტო უმრავლესობის ან მთავრობის რომელიმე წარმომადგენლის კომენტარი, არც კომენტარის მოპოვების მცდელობა ჩანდა. დარღვეული იყო ბალანსი.

14 ივლისს კავკასიის ეთერში გავიდა კადრსინქრონი, სადაც პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა პრეზიდენტი გააკრიტიკა, საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებებისთვის ხელმოწერის გამო. არ იყო პრეზიდენტის ადმინისტრაციის პასუხი და არც მისი მოპოვების მცდელობა ჩანდა.

15 ივლისს ინტერპარტიული ჯგუფის წევრებმა საარჩევნო კოდექსში უფასო სარეკლამო დროის ახლებური განაწილება გააპროტესტეს, სიუჟეტში გააკრიტიკეს პრეზიდენტი, საპარლამენტო უმრავლესობა, ქართული ოცნება. ოთხი რესპოდენტი მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენდა და არ იყო არც ერთი საპასუხო კომენტარი. სიუჟეტი იყო ცალხმრივი და დაუბალანსებელი.

5 აგვისტოს გავიდა სიუჟეტი სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საპროტესტო აქციის შესახებ, აქციის მონაწილეები „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს ილო მიროტაძეს (მიროტაძის სტატუსი არ იყო მითითებული სიუჟეტში) ზეწოლაში ადანაშაულებდნენ, აქციის მონაწილეები ამბობდნენ, რომ მათ მიროტაძე დაემუქრა, თუ ხმას „ქართულ ოცნებას“ არ მისცემდნენ, სახელმწიფო დახმარებებს გაუუქმებენ. რამდენიმე რესპოდენტი მიროტაძეს ზეწოლაში სდებდა ბრალს, მიუხედავად ამისა, არ იყო მისი საპასუხო კომენტარი და არც მოპოვების მცდელობა ჩანდა.

„ტელეკომპანია პირველი“


„ტვ პირველის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას (22 საათზე).

რაოდენობრივი ანალიზი

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

ტვ-პირველი

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



ტელეკომპანია „პირველი“ ყველაზე დიდი ქრონომეტრაჟით მთავრობას შუქებდა. ყველაზე მეტი დადებითი ტონი, მისთვის დათმობილი დროის 23%, ბლოკს „ბურჭულაძე -სახელმწიფო ხალხისთვის“ ერგო. ყველაზე უარყოფითად ბიძინა ივანიშვილი გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 42 %-ით, ნეიტრალური ტონით (84%-ით) პრეზიდენტი ლიდერობს.

სამონიტორინგო პერიოდში ტვ პირველი ამბებს ძირითადად კადრსინქრონების ფორმატში აშუქებდა, ნაკლებად ჰქონდათ სიღრმისეული სიუჟეტები. ამბების გაშუქება უმეტესად, ზედაპირულია, მთავარი პრობლემა აქაც ბალანსის დაღვევაა. მაგალითად:

11 ივლისს გაშუქდა იპოთეკური სესხებით დაზარალებული მოქალაქეების აქცია მთავრობის სახლის წინ აჭარაში, აქციის მონაწილეები ხელისუფლებას, „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებდნენ და წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებების შეუსრულებლობაში სდებდნენ ბრალს. არ იყო საპასუხოდ აჭარის ხელისუფლების, ან „ქართული ოცნების“ რომელიმე წარმომადგენლის კომენტარი და არც მისი მოპოვების მცდელობა ჩანდა.

19 ივლისს - „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენელმა სპეციალურ ბრიფინგზე თბილისის მერი და მისი მოადგილე კორუფციაში და გარემოვაჭრეების მოტყუებასა და შევიწროებაში დაადანაშაულა. არ იყო მერიის არ ერთი წარმომადგენლის კომენტარი, არც მოპოვების მცდელობა ჩანდა.

26 ივლისს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, გამართულ ბრიფინგზე საზოგადოებას განათლების სფეროში არსებული სტატისტიკური მონაცემები გააცნეს და განათლების სამინისტრო გააკრიტიკეს, მასალაში არ იყო ასახული სამინისტროს საპასუხო კომენტარი,

მხოლოდ ერთ წყაროზე „ნაციონალურ მოძრაობაზე“ დაყრდნობით მოხდა ამბის გადმოცემა, რაც საექვოს ხდის ინფორმაციის სიზუსტეს.

[18 აგვისტოს](#) „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გია როინიშვილმა ყაზბეგის გამზირზე ხეების გაჩეხვასთან დაკავშირებით ხელისუფლება პოლიტიკურ კორუფციაში დაადანაშაულა. როინიშვილის თქმით: „კომპანია „ორბი“, რომელმაც ჩაიდინა ეს ვანდალიზმი დაჭრა ხეები დღეს მეუბნებიან, რომ არის „ქართული ოცნების“ მთავარი დამფინანსებელი, ეს არის პოლიტიკური კორუფციის ნიშნები“. აღნიშნულ ბრალდებაზე არ იყო „ქართული ოცნების“ ან ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენლის კომენტარი. ჟურნალისტის მიერ არ მომხდარა აღნიშნული ბრალდების რეალურობის გადამოწმება.

„ობიექტივი“


ობიექტივის ეთერში მონიტორები მთავარ საინფორმაციო გამოშვებას აკვირდებოდნენ, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს 19:30 სთ-ზე გადის.

რაოდენობრივი ანალიზი

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

ობიექტივი

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



ობიექტივი თითქმის ერთადერთი არხია, სადაც ყველაზე მეტ დროს მთავრობას არ უთმობენ. გამოყოფილი დროით, ობიექტივზე ბლოკი „პატრიოტთა ალიანსი“ ლიდერობს. (ირმა ინაშვილი მედია კავშირ ობიექტივის ერთ ერთი დამაარსებელია) დადებითი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (17%) „პატრიოტთა ალიანსს“ აქვს. უარყოფითი ტონით (100-

100%) ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი ლიდერობენ. ყველაზე მეტი ნეიტრალური გაშუქება დათმობილი დროის მიხედვით ისევ პატრიოტთა ალიანსს აქვს (81%)

არხზე აშკარად შეიმჩნევა „პატრიოტთა ალიანსის“ წევრების ხშირი და ლოიალური გაშუქება. ასევე ტენდენციაა, რესპუბლიკური პარტიის მიმართ უარყოფითი გაშუქება და ბალანსის დარღვევა.

13 ივლისს სიუჟეტი მიემდგვნა რესპუბლიკელი მინისტრების გადადგომას და „რესპუბლიკური პარტიის“ შანსებს საპარლამენტო არჩევნებში. სიუჟეტში რესპონდენტები საუბრობენ, რომ „რესპუბლიკურ პარტიას“ არა თუ გამარჯვების, საარჩევნო ბარიერის გადალახვის შანსიც არ აქვს. სიუჟეტში საუბარია, რომ „რესპუბლიკური პარტიის“ რღვევა დაწყებულია და გაგრძელდება. რესპონდენტების უმრავლესობა აკრიტიკებს „რესპუბლიკურ პარტიას“. მიუხედავად იმისა, რომ მთელი სიუჟეტი „რესპუბლიკურ პარტიას“ მიემდგვნა, პარტია უარყოფითად იყო წარმოჩენილი და მის მიმართ ბრალდებებიც გაჟღერდა, სიუჟეტში არ იყო რესპუბლიკელების პოზიცია, არ ჩანდა, რომ მათთან კომენტარისთვის დაკავშირება სცადეს.

12 ივლისს ეთერში გასულ სიუჟეტში ნათქვამია, რომ სახალხო დამცველის აპარატის განცხადების თანახმად, პარტია „გირჩის“ პოლიტიკური რეკლამა დისკრიმინაციული და სტერეოტიპულია და ტელე-ეთერიდან უნდა მოიხსნას. სიუჟეტში არ არის არც „გირჩის“, არც მარეგულირებელი ორგანოს, ან ექსპერტის შეფასება, ინფორმაცია გადმოცემულია მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით და დარღვეულია ბალანსი.

3 აგვისტოს გავიდა სიუჟეტი, სადაც თინა ხიდაშელი დადანაშაულებულია დანაშაულის დაფარვასა და შანტაჟში, ინფორმაცია მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით მიეწოდა მაყურებელს არ იყო დამატებითი მტკიცებულებები და ასევე, არ იყო ბრალდებების ადრესატის, თინა ხიდაშელის კომენტარი, სიუჟეტში არც ის ჩანდა, დაუკავშირდნენ თუ არა ხიდაშელს კომენტარისთვის.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია“


მონიტორები აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას (მთავარი ამბები 21 საათზე) აკვირდებოდნენ.

რაოდენობრივი ანალიზი

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

აჭარა

(11 ივლისი- 30 აგვისტო, 2016)



აჭარის ტელევიზიის ეთერში ყველაზე მეტი დრო აჭარის მთავრობის გაშუქებას დაეთმო, ყველაზე მაღალი დადებითი გაშუქების მაჩვენებელიც აჭარის მთავრობას ჰქონდა, დათმობილი დროის 14%. ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი პროცენტულად ბიძინა ივანიშვილის მიმართ დაფიქსირდა, მისთვის დათმობილი დროის 80%. ნეიტრალური გაშუქებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პრემიერ-მინისტრს ჰქონდა - 89%. აჭარის ტელევიზიის საინფორმაციოში სიღრმისეული რეპორტაჟების ნაკლებობაა, სასურველია უფრო მეტად ხდებოდეს პრობლემების ჩაშლა, თუმცა აჭარის ტელევიზია გამორჩეულია ეთიკური თვალსაზრისით, ბალანსის დარღვევის მხოლოდ რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა.

25 ივლისს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი გაზრდილ ავტოსაგზაო შემთხვევებთან დაკავშირებით მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხზე საუბრობდა. სპეციალურ ბრიფინგზე, არასამთავრობო წარმომადგენელმა, სამთავრობო უწყებები კონკრეტული ვალდებულებების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა. ინფორმაცია იყო ცალხმრივი, არ იყო გადამოწმებული, სიმართლეს შეესაბამებოდა თუ არა რესპოდენტისგან გაუღერებული ბრალდებები, ინფორმაცია გადმოცემული იყო დაუბალანსებლად, არ იყო არც ერთი სამთავრობო უწყების წარმომადგენლის კომენტარი და არც კომენტარის მოპოვების მცდელობა ჩანდა.

28 ივლისს პრეზიდენტის მრჩეველმა, კახა კოჭორიძემ შსს კანონდარღვევებში დაადანაშაულა. კოჭორიძემ სამინისტროს კონკრეტული ბრალდება წაუყენა, დაასახელა ორი ფაქტი, სადაც, მისი თქმით, შსს-ს სხვა და სხვა უწყებამ კანონი დაარღვია. აღნიშნული ინფორმაცია ეთერში

გავიდა მხოლოდ კოჟორიძეზე დაყრდნობით, არ იყო ინფორმაციის გადამოწმების მცდელობა, არ იყო შსს-ს წარმომადგენლის საპასუხო კომენტარი, დარღვეული იყო ბალანსი.

„ტელეარხი 25“


ტვ 25-ს ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „მაცნე“ (19 სთ 30 წთ)

რაოდენობრივი ანალიზი

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

ტვ-25

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



ტვ 25-ს ეთერში ყველაზე მეტი დრო ადგილობრივ ხელისუფლებას დაეთმო, დადებითი ტონით (6%) აჭარის მთავრობა ლიდერობს. ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქება (50%) ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდა. მაღალი ნეიტრალური გაშუქება (87%) ბლოკს „ბურჭულაძე- სახელმწიფო ხალხისთვის“ ხვდა წილად. ტვ25-ც ეთიკური სტანდარტების დაცვით გამორჩეულია, თუმცა აქაც შეინიშნება სიღრმისეული სიუჟეტების და რეპორტაჟების სიმცირე. ტვ 25-ზე იშვიათ შემთხვევაში დაფიქსირდა ეთიკური პრობლემა, ბალანსის დარღვევის სახით.

[5 აგვისტოს](#) „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები, აჭარის მთავრობის სახლის წინ შეიკრიბნენ, აჭარის მთავრობას აგრარული უნივერსიტეტის წართმევაში დასდეს ბრალი და გააკრიტიკეს. არ იყო საპასუხო კომენტარი, არც ის აღნიშნეს, რომ დაკავშირების მცდელობა ჰქონდათ და უარი მიიღეს კომენტარზე. დაირღვა ბალანსი, ინფორმაცია გადმოცემული იყო ცალხმრივად.

10 აგვისტოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აჭარის მთავრობა ბათუმში სკეიტპარკის მშენებლობის შეჩერებაში დაადანაშაულა. სიუჟეტში მთავრობას უმოქმედობაში დასდეს ბრალი, მიუხედავად ამისა, არ იყო მთავრობის არც ერთი წარმომადგენლის კომენტარი და არც კომენტარის მოპოვების მცდელობა ჩანდა.